პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 აპრილი 11 № 84 (16514) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Дღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოსამართლეებს აირჩევენ

ხალხი ხმას მისცემს ღირსეულთ



სახალხო მოსამართლე

ჩვენს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ადამიანები დღეს მივლენ საარჩევნო უბნებში და აირჩევენ სახალხო სასამართლოთა სახალხო მოსამართლეებს. ჩვენი მშრომელები თავიანთ წარმომადგენლებს გადასცემენ მართლმსაჯულების აღსრულების უფლებას მანდატებს.

დღევანდელი არჩევნები ეწყობა პარტიის XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომის, ხუთწლედის მიჯნების აღებისათვის გაცხოველებული მოღვაწეობის ვითარებაში. საარჩევნო უბნებში ჩვენი მუშები, კოლმეურნე გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები მივლენ ხელდამშვენებულნი, თავიანთ სამოღვაწეო უბნებზე ნაშრომ-ნაამაგარის შედეგად სიამაყის გრძნობით ამაღლებულნი.

მშრომელი მასების ეს სიამაყე და გულმხურვალება, რშ გრძნობითაც ისინი ხმას მისცემენ თავიანთ რჩეულებს, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს იმათ, ვინც მომავალი სახალხო მოსამართლე იქნება.

დიდია საბჭოთა სახალხო მოსამართლის უფლება-მოვალეობანი, ისინი დამოუკიდებელნი არიან და ხელმძღვანელობენ მხოლოდ კანონით, სოციალისტური მართლშეგნებით. მათთან ერთად მართლმსაჯულებას თანასწორი უფლებით ახორციელებენ სახალხო მსაჯულები. სულ უფრო ფართოვდება საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და დამცველთა ინსტიტუტი, რომელიც სასამართლოში მშრომელთა კოლექტივების აზრის გამომხატველია.

პარტია, სახელმწიფო ახლა უდიდეს ყურადღებას აქცევენ სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას. დიდია ყურადღება და მზრუნველობა, რაც კანონმდებლობის სრულყოფასა და მართლწესრიგის განმტკიცებას ეთმობა. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენი მოქალაქენი აღვზარდოთ საბჭოთა კანონებისა და ზნეობრივი ნორმების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით.

ამიტომ სახალხო მოსამართლეებმა, რომლებსაც მშრომელნი აირჩევენ, მთელი თავიანთი მოღვაწეობა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის სულისკვეთებით უნდა წარმართონ. სისტემატურად უნდა აიმაღლონ ცოდნის დონე, ისწავლონ მოწინავეთა გამოცდილება, და ყოველთვის ეს, რა თქმა უნდა, სასამართლოებს მოღვაწეობაში უნდა გამოჩნდეს. მათ ეფექტიანად უნდა იმოქმედონ სახელმწიფოს მოტყუების ცდების, წამატებების, საზოგადოებრივი საკუთრების დაკაცების, კუთხურობის გამოვლინებათშ წინააღმდეგ. უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი ადამიანებში მაღალი პასუხისმგებლობის, მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გრძნობის განვითარებას.

ცხადია, ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში უდიდესი როლი სახალხო მოსამართლეებს ეკუთვნით. მათი ერთ-ერთი კეთილშობილური ფუნქცია აღმზრდელობითი მოღვაწეობაა. კანონის შესაბამისად განხორციელებულ სასამართლო პროცესს, საქმის სწორად გადაწყვეტას დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ეს ზემოქმედებას ახდენს არა მარტო იმაზე, ვინც პასუხს აგებს კანონის წინაშე, არამედ ყველა დამსწრეზე. ამით, ცხადია, სასამართლო საზოგადოებრივი მორალისა და პრაქტიკული პოლიტიკის გაკვეთილებს იძლევა.

სახალხო მოსამართლეების არჩევნების მზადებისათვის ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს. ორგანიზებულად ეწყობოდა მოსამართლეობის კანდიდატთა შეხვედრები, ამასთან სახალხო მოსამართლენი ანგარიშებით გამოდიოდნენ მშრომელთა წინაშე. ამ შეხვედრებზე ჩვენმა ადამიანებმა მრავალი საინტერესო საკითხი დააყენეს, რომელთა განხილვასა და გადაწყვეტისათვის ზრუნვა მართლმსაჯულების ორგანოების მოვალეობას წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ამომრჩეველთა განაწესი სახალხო მოსამართლის ცხოვრებისა და მოქმედების მეგზური უნდა გახდეს.

სახალხო მოსამართლის მიერ თავისი საპატიო მოვალეობის შესრულება მისგან მოითხოვს საფუძვლიან პოლიტიკურ ცოდნას, პროფესიულ მომზადებას, განათლებას, მაღალ კულტურას, ცხოვრების რთულ მოვლენებში, ადამიანების ხასიათებში გარკვევის უნარს, მათთან დამოკიდებულებაშა სიფაქიზეს, ალოიანობას, მაღალი ზნეობრიობა, კეთილშობილება მისი ცხოვრების განუყრელი თვისება უნდა იყოს. ამასთან ერთად სახალხო მოსამართლის მთელი მოღვაწეობის წარმატების საწინდარი სოციალისტური საზოგადოების ინტერესების დარღვევისადმი შეურიგებლობაა.

დღევანდელ არჩევნებში ჩვენი ხალხი თავის კანდიდატებს ხმას რომ მისცემს, ამით მომავალ სახალხო მოსამართლეებს აძლევს განაწესს — საფუძვლიანად და დროზე განიხილონ მოქალაქეთა განცხადებები, გადაჭრით აღმოფხვრან საქმის გაჭიანურება, მზრუნველობითა და გულისხმიერებით მოეკიდონ მოქალაქეთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

სახალხო სასამართლოებმა და საერთოდ იუსტიციის ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ საწარმოთა კოლექტივებში, მშრომელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამხვლელი სასამართლო სხდომების მოწყობას. ისინი განსახილველად ნამდვილად აქტუალურ და ყურადსაღებ საქმეებს უნდა არჩევდნენ. ერთი სიტყვით, ახალი პროცესებით ფართო საზოგადოების მიზიდვა უნდა უზრუნველყოონ. ყოველივე ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის უაღრესად სასარგებლო და საჭირო საქმეში.

ჩვენმა სახალხო მოსამართლეებმა მთელი თავიანთი მოღვაწეობით დიდი წვლილი უნდა შეიტანონ ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში, საზოგადოების მოწინავე მორალურ-ზნეობრივ ღირებულებათა დამკვიდრებაში. სახალხო მოსამართლეებმა აქტიურად უნდა იშუშაონ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის, მშრომელთა წინაშე თავიანთი გამოსვლებით, ლექციებით, მოხსენებებით ხელი უნდა შეუწყონ იურიდიული ცოდნის პროპაგანდას, რიგითი ადამიანების მიერ კანონების გაგებასა და ათვისებას.

ყველა ღონისძიებით უნდა განვავითაროთ აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის გამართლებული ფორმები. განვამტკიცოთ იუსტიციის ორგანოებისა და მშრომელთშ კოლექტივებიი, ამხანაგური სასამართლოების, სახალხო რაზმეულების და სხვა თვითმოქმედი ორგანიზაციების კავშირი, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ საბჭოთა კანონის დამრღვევის ფეხქვეშ ნამდვილად მიწა იწვდეს.

უთუოდ დიდი და საპასუხისმგებლოა ის ნდობა და დაფასება, რასაც მომავალ სახალხო მოსამართლეებს ჩვენი ხალხი თავისი ხმის მიცემით გამოუცხადებს. ხალხის ამ სურვილებს, მშრომელთა ნებას გულმხურვალება, საქმიანი სინდისიერი დამოკიდებულება, საბჭოთა კანონისადმი პატივისცემა, სიყვარული უნდა შევაგებოთ. სახალხო მოსამართლეს უნდა უყვარდეს ადამიანი, გულითა და მთელი გრძნობით განიცდიდეს, იზიარებდეს მის მდგომარეობას და მოქალაქის ბედის გადაწყვეტისას მხოლოდ კანონით, საკუთარი რწმენით ხელმძღვანელობდეს. თვითეულმა ახლად არჩეულმა მოსამართლემ თავისი კეთილი საქმით, პატიოსანი სამსახურით უნდა დაუმტკიცოს ამომრჩევლებს, რომ სახალხო მოსამართლე. რომელსაც ხმა მისცეს, ამართლებს ნდობას, ღირსეულად იხდის ვალს, ასრულებს მართლმსაჯულების ნამდვილი მსახურის, ადამიანის უფლების დამცველის, მისი ღირსების ქომაგის კეთილშობილურ მოვალეობას.

დღევანდელი არჩევნები უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა. ეჭვი არ არის, ჩვენი ხალხი ერთსულოვნად მივა საარჩევნო უბნებში და აირჩევს სახალხო მოსამართლეებს, რომლებიც მთელი თავიანთი შრომითი მოღვაწეობით, განაწესის შესრულებისათვის ზრუნვით უთუოდ შეუწყობენ ხელს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საქმეს, პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

ქუთაისი. 10 აპრილი. (საქინფორმის კორ.). დღეს აქ გაიმართა მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება, რომელსაც დაესწრნენ მეჩაიეობის რაიონების პარტიის საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები, აღმასკომების თავმჯდომარეები, სასოფლო-სამეურნეო სამმართველოთა უფროსები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, ჩაის ფაბრიკების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, დირექტორები და მთავარი სპეციალისტები, მოწინავე მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, ნ. ა. ჭითანავა,** ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. ა. პატარიძემ.**

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ნ. ა. ჭითანავამ** და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა **რ. ბ. კონცელიძემ.**

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. რ. პაპუნიძემ,** საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა **ე. ს. მალაზონიამ,** საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ი. გვარჯალაძემ,** ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ი. უ. ბუაჩიძემ,** გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების მმართველმა **ი. ი. კვირიკაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **პ. ხ. ბარციცმა,** საბჭოთა კავშირის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ **ლ. შ. ქუთათელაძემ,** ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **ი. ი. ქანთარიამ,** წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა **კ. რ. ლაშხიამ,** ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლების კოლმეურნეობის მეჩაიემ, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა **მ. ვ. უაჭეიშვილმა,** ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **გ. ი. ელიავამ,** ლანჩხუთის რაიონის ჩაის ფაბრიკების ვაერთიანების გენერალურმა დირექტორმა **კ. პ. სარჯველაძემ** და პოეტმა **ნაზი კილასონიამ.**

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

შეკრებაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს სსრ ყველა მეჩაიისა და ჩაის მრეწველობის მუშაკისადმი.

შეკრების მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

12 აპრილი კოსმონავტიკის დღეა



1. ასეთი გვაცხოვს იური გაგარინი

უდიდესი გმირობისათვის — კოსმოსში პირველი გაფრენისათვის, ვაჟკაცობისა და შემართებისათვის, საბჭოთა ხალხის, მთელი კაცობრიობის პროგრესის უანგარო სამსახურისათვის იური გაგარინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სურათზე: ლ. ი. ბრეჟნევი უმაღლეს ჯილდოს ულოცავს იური გაგარინს.

(1961 წლის 14 აპრილი).

10 აპრილი

„პრავდის“ ფურცლებზე

კომუნისტთა ძალის წყარო

„ჩვენი პარტია, — ნათქვამია მეთაურ წერილში („კომუნისტის ძალის წყარო“), — განუხრელად მოქმედებდა და მოქმედებს როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი რაზმი. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მუდამ გრძნობს ურღვევ კავშირს ამ მოძრაობასთან, საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის თავისი წილი ეკისრება. ლენინური მოძღვრების, ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული ჩვენი პარტია ცდილობს ყოველთვის ფუძეყოს ხელი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებით კომუნისტური ძალების ერთიანობის განმტკიცებას“.

რით დაიწყეს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პრაქტიკული საქმიანობა იმ გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დაგვისახა? რას აკეთებენ ისინი თავიანთ უბნებზე მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად? რა საზრუნავი და რა პრობლემები აღელრათ მათ?

რედაქციამ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სთხოვა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციების მდივნებს — სკკპ XXV ყრილობის დელეგატების ჯგუფს.

ამ დიდ საუბარს (რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება“) სათაურით — „ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲜᲐᲖᲔ“ (ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ). — გაზეთი პირველ-მეორე გვერდებზე ბეჭდავს და მკითხველებს სთხოვს, რომ რედაქციას აცნობონ თავიანთი პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება, გეგმები და ჩანაფიქრი, ის პრობლემები და საზრუნავი, რასაც ისინი მუშაობაში ხვდებიან.

ეს ჭეშმარიტად დიდი საქმიანი პარტიული საუბარია, რომელსაც გაზეთი შემდგომ ნომრებშიც განაგრძობს.

მკითხველი ნახავს აგრეთვე ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო ცხოვრების ამსახველ ბევრ სხვა საგაზეთო მასალას.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

არჩევნებს მზად ხვდებიან

თბილისი

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის მილიონიანი დედაქალაქის — თბილისის მშრომელები დიდი ენთუზიაზმითა და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებოდნენ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის. ამ დიდი პოლიტიკური კამპანიისათვის მზადების დღეებში მრავალი კარგი ინიციატივა და ახალი თოსნობა იშვა, საწარმოთა უმრავლესობამ დიდი გადაჭრებით შეასრულა მეათე ხუთწლედის პირველი წლის სამი თვის დავალება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნებისათვის მზადების დღეებმა ხელი შეუწყო მასებში საბჭოთა კანონებისა და იურიდიული ცოდნის პროპაგანდას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სასამართლოების კავშირურთიერთობის გაძლიერებას, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებას.

ამომრჩევლები კარგად იცნობენ თავიანთი მოსამართლეობის კანდიდატებს, რომლებსაც შეხვედრები მოუწყეს და თავიანთი სურვილები და წინადადებებიც გაიცნეს.

და აი დღეს, 600.500-მდე თბილისელი მივა ქალაქის 36 საარჩევნო ოლქის ასობით საარჩევნო უბნებში და ხმას მისცემენ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს.

სოხუმი

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში, სოფლებსა და დაბებში მოწყობილ საარჩევნო უბნებში ყველაფერი მზად არის იმისათვის, რომ დღეს მშრომელებმა ხმა მისცენ თავიანთ რჩეულთ — სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა ენერგიულად იშრომეს იმისათვის, რომ სახალხო მოსამართლეთა არჩევნებმა მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაიაროს. და აი შედეგიც. დღეს ყველა — 274 საარჩევნო უბანში საუკეთესო პიროვნებებია შექმნილი, რომ ჩვენმა ადამიანებმა განახორციელონ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — მართლმსაჯულების ორგანოებში აირჩიონ საუკეთესო წარმომადგენლები.

ბათუმი

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). სახალხო მოსამართლეთა არჩევნებს აჭარის მშრომელები განსაკუთრებული დარაზმულობითა და ენთუზიაზმით ეგებებიან. ეს დღეები იმითაც არის საყურადღებო, რომ ჩვენი ქვეყანა შეუდგა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. თავდადებული შრომაა გაჩაღებული ფაბრიკებსა და ქარხნებში, ბაღებსა და პლანტაციებში.

სამუშაო დღის შემდეგ განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყო საარჩევნო უბნებსა და აგიტპუნქტებში. მშრომელები თვალიერებდნენ ამომრჩეველთა სიებს, ეცნობოდნენ ლექციებსა და საუბრებს, დიდხანს ჩერდებოდნენ ლამაზად გაფორმებულ სტენდებთან.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის ყველაფერი მზად არის. დღეს აჭარის მშრომელები ერთსულოვნად მივლენ საარჩევნო უბნებში და ხმას მისცემენ თავიანთ რჩეულთ.

ცხინვალი

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). სახალხო მოსამართლეთა არჩევნებს სამხრეთ ოსეთში მომზადებული ხვდებიან.

125 საარჩევნო უბანში მრავალი აგიტატორი აცნობდა მოსახლეობას სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა ბიოგრაფიას. მოსამართლეობის კანდიდატები ამომრჩევლებს ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ თავიანთი მუშაობის გეგმებზე. ამომწურავ პასუხს აძლევდნენ სამართალმცოდნეობის საკითხებზე.

საარჩევნო უბნები ყველგან ლამაზად არის გაფორმებული, მაღალმთიან საარჩევნო უბნებთან დამყარებულია სატელეფონო კავშირი.

სამხრეთ ოსეთში ყველაფერი მზად არის 11 აპრილს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 86 1976 წლის 11 აპრილი ქ. მოსკოვი

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝ ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო მუშებო, თავდაცვითი მრეწველობის ინჟინრებო და ტექნიკოსებო!

ამხანაგო საპაერო თავდაცვის ჯარების ვეტერანებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები ზეიმობენ ქვეყნის საპაერო თავდაცვის ჯარების დღეს. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი აღინიშნება ჩვენი ხალხის, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის საყოველთაო აღფრთოვანების, მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვია სკკპ XXV ყრილობამ. არმიისა და ფლოტის მეომრები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვნად იწონებენ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიის ახალ დიდებულ წინასწარდასახულობებს, გამოხატავენ თავიანთ მისწრაფებებსა და მტკიცე გადაწყვეტილებას განახორციელონ ისინი.

ქვეყნის საპაერო თავდაცვის ჯარებმა სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს. თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ისინი ცხადყოფენ სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებას. საპაერო საზღვრების დამცველებმა მამაცობა და გმირობა, ურყევი სიმტკიცე და მაღალი მზედრული ოსტატობა გამოიჩინეს საშოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში, მშვიდობიან დროს დიდმნიშვნელოვან ამოცანათა შესრულებაში. თანამედროვე პირობებში ქვეყნის საპაერო თავდაცვის ჯარები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა თავრობის მუდმივი ზრუნვის მეოხებით აღჭურვილია უახლესი საბრძოლო ტექნიკითა და იარაღით, ჰყავს იდეურად გამოწრთობილი, კარგად მომზადებული სამხედრო კადრები. სხვა სახეობათა შეიარაღებულ ძალებთან ერთად ისინი სამშვიდოდ უზრუნველყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროებას, ფხიზლად დგანან სოციალიზმის დიად მონაპოვართა სადარაჯოზე.

მოგესალმებთ და გილოცავთ ქვეყნის საპაერო თავდაცვის ჯარების დღეს!

ვუსურვებ საპაერო თავდაცვის ჯარების პირად შემადგენლობას შემდგომ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში, ფხიზელ სამსახურში, სკკპ XXV ყრილობის მიერ საბჭოთა შეიარაღებული ძალების წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებაში.

თავდაცვითი მრეწველობის მუშაკებს ვუსურვებ ახალ წარმატებებს ქვეყნის საპაერო თავდაცვისათვის საჭირო მაღალეფექტიანი საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის შექმნაში.

ქვეყნის საპაერო თავდაცვის ჯარების დღის აღსანიშნავად **ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ:**

დღეს, 11 აპრილს, 21 საათზე ადგილობრივი დროით მოეწყოს საზეიმოსწაული ფოიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ნოვოროსიისკში, ქერჩსა და ციხე-სიმაგრე ბრესტში.

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს.

გაუმარჯოს სსრ კავშირის გმირ შეიარაღებულ ძალებსა და ქვეყნის საპაერო თავდაცვის მამაც ჯარებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი Ა. ᲒᲠᲔᲩᲙᲝ.

11 აპრილი საპაერო თავდაცვის ჯარების დღეა

ᲛᲬᲣᲮᲠᲘ რიტმით მიმდინარეობს სსრ კავშირის საპაერო თავდაცვის ჯარების საბრძოლო სწავლება. აზორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მეომრები ძალღონეს არ იშურებენ ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, თავდადებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას — შეუნელებლად განამტკიცონ საბჭოეთის ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება. დღისით თუ ღამით, ყოველ ამინდში შეურყევლად დგანან სამშობლოს ცის სადარაჯოზე.

თავიანთ დღესასწაულს საპაერო თავდაცვის ჯარების მეომრები დიდი წარმატებებით ხვდებიან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: კაპიტან ვ. კოზის ქვეგანაყოფის მეომრები მეცადინეობაზე.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ვიმუშაოთ უკეთ, უფრო ნაყოფიერად

ჯილდოები გადაეცათ

ქუთაისი, აქ ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში გამართა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრების მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოსულია მშრომელთა დელეგაცია კიროვაბადიდან, რომელსაც ქუთაისი ეკიბრება.

კრებას დაესწრო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გელაშვილი.

მოხსენება სკკპ XXV ყრილობის შედეგებისა და ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ.

ქალაქის კომუნისტები და ყველა მშრომელი, თქვა მომხსენებელმა, ერთსულოვნად იწონებენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს. ისინი წარმატებით ჩაუნერენ ყრილობის მიერ დასახული შეთე ხუთწლედის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მეცხრე ხუთწლედში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის ქუთაისის კლავ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამხ. პ. გელაშვილმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ნ. რუხაძეს, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს დ. დვალიშვილს, ქალაქის პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ო. ოკუჯავას, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს რ. მზეიძეს, საავტომობილო ქარხნის დირექტორს ვ. ხარებავას, საავტომობილო ქარხნის მუშას, სოციალისტური შრომის გმირს ბ. ვაშაძეს, და უსურვა ქუთაისელ მშრომელებს ახალი წარმატებანი შრომაში.

ქუთაისელ მშრომელებს საპატიო ჯილდო მიეღოთ ა.ბაიკანის კომპარტიის კიროვაბადის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. მამედოვმა.

აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კრებამ მიიღო წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის მახარაძის რაიონი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამხ. პ. გელაშვილმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა მახარაძის რაიონის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრებაზე.

ამჟამად იყვნენ სტუმრები უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ნეინჩესკის რაიონსა და ზუგდიდის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებსაც ეკიბრებიან მახარაძელები.

კრება შესანიშნავი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. მალაზონიამ. სოციალისტური შეჯიბრების შედეგებსა და 1976 წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. თენგიზოვმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარაძემ რაიონის ხელმძღვანელებსა და წარმოების მოწინავეებს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ ტიტულ კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კრებამ მიიღო წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის მახარაძის რაიონი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მახარაძის საქალაქო ოპერატორი გაიმართა რაიონის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრება.

ოქვეს იყვნენ სტუმრები უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ნეინჩესკის რაიონსა და ზუგდიდის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებსაც ეკიბრებიან მახარაძელები.

კრება შესანიშნავი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. მალაზონიამ. სოციალისტური შეჯიბრების შედეგებსა და 1976 წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. თენგიზოვმა.

ქუთაისელ მშრომელებს საპატიო ჯილდო მიეღოთ ა.ბაიკანის კომპარტიის კიროვაბადის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. მამედოვმა.

აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კრებამ მიიღო წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის მახარაძის რაიონი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მახარაძის საქალაქო ოპერატორი გაიმართა რაიონის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრება.

ოქვეს იყვნენ სტუმრები უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ნეინჩესკის რაიონსა და ზუგდიდის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებსაც ეკიბრებიან მახარაძელები.

კრება შესანიშნავი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. მალაზონიამ. სოციალისტური შეჯიბრების შედეგებსა და 1976 წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ბ. ბერიძემ.

ქალაქის კომუნისტები და ყველა მშრომელი, თქვა მომხსენებელმა, ერთსულოვნად იწონებენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს. ისინი წარმატებით ჩაუნერენ ყრილობის მიერ დასახული შეთე ხუთწლედის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მეცხრე ხუთწლედში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის ქუთაისის კლავ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამ. ბ. ბ. ბერიძემ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა ქუთაისის ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ბ. ბერიძეს.

ამ. ბ. ბ. ბერიძემ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა ბარეულის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტოკოლონა N 1-ის ავტომძღოლ

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ორგანოების სისტემაში სასამართლოებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. მარტოოდენ მათ შეუძლიათ სახელმწიფოს სახელით ადასრულონ მართლმსაჯულება, ცნონ პირი დამნაშავედ და შეუფარდონ სისტლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელი.

სწორედ ამიტომ სახალხო მოსამართლეების არჩევნებს, რაც დღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიმართება, უდიდესი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი დღე შეჯამებს ჩვენი პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების, მშრომელთა ფართო მასების ამ დიდი მზადებისა და მოღვაწეობის შედეგებს, რასაც ისინი ამ მოვლენის — სახალხო მოსამართლეთა არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის ეწეოდნენ.

ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადება პარტიის XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებას ფიზიკულტურისა და სპორტის საკითხებზე. ეჭვს გარეშეა, ამ საბრძოლო დოკუმენტმა რესპუბლიკის სპორტულ მუშაკებს აღუძრა მისწრაფება — კიდევ უფრო უკეთ გამოიყენონ ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ფიზიკულტურისა და სპორტის შემდგომი დანერგვის შესაძლებლობანი.

ამ დადგენილების შესრულებასას რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა, ფიზიკულტურულმა ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ზრუნვითა და ხელმძღვანელობით, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, საზოგადოებრივ აქტივთან ერთად გარკვეული მუშაობა გასწიეს საქართველოში ფიზიკური კულტურის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და კონტროლის გაძლიერებისათვის, ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობის დონის ამაღლებისათვის, მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდისათვის.

სპორტკომიტეტმა ფართოდ გაშალა მუშაობა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში შში კომპლექსის დანერგვისათვის, რაც ფიზკულტურული ორგანიზაციების მთელი საქმიანობის სეროიზული გამოცდაა, დადასტურებაა მათი შესაძლებლობებისა ამ მასობრივი ძოძრაობის მეშვეობით გადაწყვეტონ შრომელთა ჯანმრთელობის გაკაჭების,დასვენების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მოსახლეობის ორალური და სულიერი სახის ჩამოყალიბების საკითხი. და ჩვენი, ყველა "ფიზკულტურული მუშაკის ვალია, წარმატებით ჩაებაროთ ეს გამოცდა, მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის დონე ფიზკულტურული ცხოვრების ყველა რგოლში.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ შარშან ჩვენში პირველად და გადაჭარბებით შესრულდა შშთ ნორმატივების ჩაბარების გეგმა, მოზადებულია 6 ათასით მეტი ნიშნოსანი.

რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას უპასუხეს გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება სხვა მაჩვენებლების მიხედვითაც. თანრიგოსან სპორტსმენთა მასობრივი მოზადების გასული წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა 23 ათასი ადამიანით, მომზადებულია 241 სპორტის ოსტატი, რაც გეგმაზე 36 ადამიანით მეტია.

მეცხრე ხუთწლედი წარმატებით დაამთავრა ბევრმა ჩვენმა სპორტსმენმაც. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გახდა და მსოფლიოში პირველი დიდოსტატი ქალის სახელი მოიპოვა ნონა გაფრინდაშვილმა. თავის ოლიმპიურ ტიტულებს ევროპის ჩემპიონისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოუმატა გიენტრო სანეევმა. ბუხუოჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ ნინო დრონოვა და რუსუდან სიხარულიძე. თავიანთი გამარჯვებებით გაგვახარეს ბაატა შამუგამ და მარინე ცეცავაძემ. ახალგაზრდა მოცურავემ იგორ კუშპელიოვმა ერთდროულად ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა. სულ ახლახან კი ქართველი მოკრივე დავით კვაჭაძე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. რესპუბლიკის 50 სპორტსმენზე მეტი საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატია. საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ მოიწონა „თბილთამბაქოს" საწარმოო გაერთიანების, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს", სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ფიზკულტურული კოლექტივების ინიციატივა — დადგენენ მეათე ხუთწლედის შრომითს ვახტზე.

უკანასკნელ ხანს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს მკაცრად აკრიტიკებდნენ და სამართლიანადაც. ჯერ კიდევ სუსტად ვასრულებთ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რის გამოც ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დონე და ტემპები არ შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების ტემპებს.

ძალზე ნელა ვწყვეტთ მასობრივი სპორტისათვის ნაგებობების ქსელის შექმნის საკითხებს; ნაკლებად ვზრუნავთ მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო პროგრამის შესრულების უზრუნველყოფისათვის; ჯერ კიდევ სუსტად ვიყენებთ სპორტულ შეჯიბრებებს და სანახაობრივ ღონისძიებებს, როგორც აქტიური და გონივრული დასვენების საშუალებას, როგორც მავნე გადამონაშთების, დასაგმობი რიტუალების, არასასურველი ტრადიციების და ამასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ იარაღს.

რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ბევრი ფიზკულტურული ორგანიზაცია ფორმალურად მუშაობს. შეძაშფოთებელია ის მდგომარეობა, რომ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიცხვი ყოველწლიურად მცირდება, რამაც ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს. შარშანდელი წლის შედეგებით 150 ფიზკულტურულ კოლექტივში საერთოდ არ ტარდებოდა არავითარი საქმიანობა, არ მომზადებულა შშთ არცერთი ნიშნოსანი, თანრიგოსანი, არ განხორციელებულა არც ერთი ღონისძიება. სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება უფერულად და უინტერესოდ, მეტად მცირეა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტული სექციებისა და წრეების რიცხვი.

საქართველოს სპორტკომიტეტმა განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან ერთად ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესისა და მასობრივი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ძირფესვიან გაუმჯობესებას.

განსაკუთრებით თბილისის მაკრორაიონებსა და საცხოვრებელ მასივებში არ შენდება გენერალური გეგმებით გათვალისწინებული სპორტული მოედნები, სპორტნაგებობები, „ფიზკულტურული ქალაქები", ბავშვთა საკუთრივ ბანები. ყოველწლიურად მცირდება ე. წ. „ველური სპორტული მოედნები" ბავშვებისათვის. ბიჭებს აღარ დარჩათ ფეხბურთის სათამაშო ადგილები.

რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა სსრ კავშირის ხალხთა მე-6 საბიფხეული სპარტაკიადაზე. სპორტის ამ დიდ ფორუმზე ჩვენ კიდევ ერთი ადგილი დავიმეთ.

რა არის ამის მიზეზი?

სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტსმენების არადამაკმაყოფილებლად გამოსვლის ძირითადი და მთავარი მიზეზია ის, რომ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში დამკვიდრებული იყო უყურადღებობა, ე. წ. „დიდი სპორტისადმი". სპორტის განვითარების თაობაზე სსრ კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების (1966 წ.) შემდეგ ჩვენი ქვეყნის ყველა ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციამ ძირფესვიანად გარდაქმნა მთელი შუამობა, ჩვენს რესპუბლიკაში კი ყველასათვის კარგად ცნობილი ვითარების გამო, გადამჭრელი ზომები არ მიუღიათ და ფაქტიურად ყველაფერი ძველ დონეზე დარჩა.

მაგალითისათვის ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკას ყაზახეთის სს რესპუბლიკას თუ შევადარებთ, რომელმაც გაგვისწრო მეექვსე სპარტაკიადაზე, სურათი ძალზე არასახარბიელო იქნება: 1966 წლიდან მოყოლებული იქ აშენდა 1500 სპორტული დარბაზი, 21 სტადიონი, 27 საცურაო აუზი, 10 უნივერსალური სპორტის სასახლე ხელოვნური ყინულით, 7 დახურული მძლეოსნური მანეჟი და ა. შ. ჩვენთან კი სულ იყო 58 აუზი და... ეს რიცხვიც 18-მდე შემცირდა, 1.736 ფეხბურთის მოედნიდან დაგვრჩა 301, ხოლო 2.930 კალათბურთის მოედნიდან — 593, ფრენბურთის 4.672 მოედნიდან კი — 791.

მეორე მიზეზია მასობრივი სპორტული მოძრაობის განვითარებისადმი არაკვალიფიციური, სუსტი ხელმძღვანელობა.

ჩვენი მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის სერიოზული ჩამორჩენის მიზეზია აგრეთვე ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტული სკოლების სუსტი ზრუნვა კვალიფიციური სპორტსმენების მომზადებისათვის, თვით მზადების მეთოდიკაში დაშვებული შეცდომები. ძალზე სუსტი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ზოგჯერ მისი უგულებელყოფაც კი; სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მზადების დაბალი დონე; ამასთანავე უნდა აღინიშნოს სპორტულ ასპარეზობათა არასრულყოფილი კალენდარი, მისი დაგეგმვის არაკვალიფიციური სისტემა; მზადების სუსტი სამეცნიერო-მეთოდიური უზრუნველყოფა; არასაკმაო კონტროლი და მედიკოსთა და მეცნიერთა არასაკმაო მონაწილეობა სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვაში. და ბოლოს ჩამორჩენის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ხელმძღვანელ სპორტულ მუშაკთა სუსტი კვალიფიკაცია და კონტროლი. ამას ემატება ისიც, რომ არ გაგვაჩნდა საჭირო ინფორმაცია მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენთა შედეგების შესახებ.

სპარტაკიადაზე სპორტის ბევრმა სახეობამ ნულოვანი შეფასება მიიღო და დასთმო ადრინდელი მოწვრთნელი დიდი-დიდი 10-15 კაცი თუ იქნებოდა სპორტული შედეგების ზრდა მწვრთნელთა მუშაობის პირდაპირ პროპორციულია და პირიქით. სამწუხაროდ, ჩვენთან ამის ჯერ ვერ ეხდებათ.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძღვება ჩვენი სპორტული სკოლა-ინტერნატების მუშაობა. მაგალითისათვის შევადაროთ გლდანის № 2 ინტერნატი ლენინგრადის ასეთივე სასწავლებელს. თუ იქ მოამზადეს ორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 41 სპორტის ოსტატი, მოსწავლეებმა დაამყარეს ოცზე მეტი საკავშირო რეკორდი, ხოლო საკავშირო სპარტაკიადაზე მოიპოვეს 10 ოქროს, 4 ვერცხლისა და 8 ბრონზაოს მედალი, ჩვენი ინტერნატებიდან უკანასკნელ ორ სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში არც ერთი მონაწილე არ იყო.

განათლების სამინისტროსთან ერთად მეტი უნდა მოვთხოვოთ მწვრთნელებს, კვეთრად უნდა ამაღლდეს წვრთნის კულტურა. სპორტი სულ უფრო და უფრო ახალგაზრდავდება. დღეს ოლიმპიურ მედლებს ღებულ 14-16 წლის სპორტსმენები. ამიტომ მთელი მუშაობა უსდა ავაგოთ სწორი გაგებით პროფესიონალურ საფუძველზე, პერსპექტიულ - გეგმებზე, რომლებსაც გახაგენენ ეაერგიული, მცოდნე ადამიანები, ისეთები, რომლებიც კარგად ხედავენ ჩვენი სპორტის ხვალინდელ დღეს.

ამთავითვე გვმართებს დაუღალავი მუშაობა, რათა უახლოეს დროში ძირფესვიანად გამოვასწოროთ მდგომარეობა, მით უფრო, რომ უკვე გაისად მოეწყობა საკავშირო ახალგაზრდული თამაშები, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩათვლაში შედის, ხოლო ოთხი წლის შემდეგ მოსკოვი ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მუშაობაში პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დიდ დახმარებას გვრძნობთ ყველა პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტაში.

შევეცდებით ჩვენც გაათკეცებული ენერგიით გუპასუხოთ ამ დიდ ზრუნვას.

საქართველოს სპორტკომიტეტმა უკანასკნელ დროს რამდენიმე ღონისძიება განახორციელა, რამაც, ჩვენი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს სპორტის ცალკეულ სახეობათა ძირფესვიან გარდაქმნას, მკაცრი კონტროლი დაწესდა პერსპექტიული სპორტსმენებისა და გუნდების მზადებაზე. კომიტეტის კოლეგიების სხდომებზე უფრო კონკრეტულად, დასაბუთებულად ვუდგებით ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას. უკვე განვახილეთ ფეხბურთის, ჰოდაობის ყველა სახეობის განვითარების საკითხები და მასშტაბური ღონისძიებებიც შევამუშავეთ. ასევე დავსახეთ პერსპექტიული ხანგრძლივვადიანი გეგმები და ღონისძიებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოახდინოს ჩვენს რესპუბლიკაში, მის რაიონებსა და ქალაქებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაზე.

Д. ᲑᲔᲠᲢᲔᲜᲐᲕᲐ,
საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ᲓᲐᲕᲣᲖᲠᲣᲜᲝᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

12 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ

2. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘ

ᲠᲐᲙᲔᲢᲣᲚ-ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ სისტემების ცნობილ კონსტრუქტორს აკადემიკოს სერგეი კოროლიოვს დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა კოსმონავტიკის განვითარების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მოხდა მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, ადამიანის პირველი ორბიტული ფრენა და სხვ. მის შესახებ თამამად შეიძლება ითქვას: მან ადამიანები გაიყვანა კოსმოსში.

მტკიცე და გულმხურვალე მეგობრობა აკავშირებდა აკადემიკოს იური გაგარინთან. სერგეი კოროლიოვს ყოველთვის აინტერესებდა თუ როგორ მიმდინარეობდა კოსმონავტის მზადება მომავალი ფრენისათვის. მისთვის გასაგები და ახლობელი იყო მფრინავის სულიერი სამყაროა: ოდესღაც თვითონაც ხომ მფრინავი იყო. ნიჭიერი მკვლევარი, ბრწყინვალე ორგანიზატორი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა კოსმონავტებში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: იური გაგარინი და სერგეი კოროლიოვი.

ᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ძალიან უყვარდა თავისი მშობლები ანა ტიმოთეს ასული და ალექსი ივანეს-ძე. უბრალო რუსმა ქალმა და კოლმეურნეობის ხუროომ შეძლეს შვილებისათვის ჩაენერგათ ადამიანის საუკეთესო თვისებები: ოპტიმიზმი, პატიოსნება, შრომის სიყვარული. დედაზე იური გაგარინი ამბობდა: „მე იგი ყოველთვის ადამიანური სიბრძნის ამოუწურავ წყაროდ მიმაჩნია"...

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: იური გაგარინი მშობლებთან ერთად.

ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲛᲐ წელმა განვლო ამ დღიდან, როცა პირველად ჩვენი პლანეტის ისტორიაში ადამიანი გაიჭრა დედამიწის გარემომცველ კოსმოსურ სივრცეში. ეს ადამიანი იყო ახალგაზრდა რუსი საბჭოთა მფრინავი იური გაგარინი, რომელმაც თავისი გმირობით დიდება შემატა საბჭოთა ქვეყანას, ახალ საფეხურზე აიყვანა საერთოდ მთელი კაცობრიობა, გადადგა რა პირველი ნაბიჯი სამყაროს სივრცეებისაკენ მმართველ გზაზე.

შთამეჯდილებებთ როგორი მდიდარი იქნებოდა ის საათნახევარზე უფრო ხანმოკლე დროის შუალედი, როცა გაგარინს დედამიწის ირგვლივ ფრენაში ადამიანისათვის სრულიად ახალი, მანამდე უცნობი განცდები დაეუფლა: კოსმოსური რაკეტის ამორავებისას გრავიტაციული გადატვირთვა, ხანგრძლივი — ერთ საათამდე — უწონობა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში შორიდან ხილვა მრგვალი დედამიწისა მისი კონტინენტებითა და ზღვა-ოკეანეებით; და, ბოლოს, მშობლიური დედამიწაზე დაბრუნება სწრაფი დაშვების პირობებში, როცა ხომალდი, ატმოსფეროს მოლეკულებთან ხახუნის შედეგად, აღშია გახვეული... ეს იყო ერთი ადამიანის განცდები. მაგრამ მთ მთელი კაცობრობისათვის შეაღეს კარი შემეცნებისა და ცოდნის ახალ სამყაროში, ადამიანთა მოღვაწეობის მანამდე უცნო სფეროში.

გაგარინის დედამიწის ირგვლივ ფრენა იყო ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონის დამაჯერებელი მოწმობა და ამასთანავე მომდევნო დიდი მიღწევების საწინდარი.

მართლაც, კოსმოსში გასვლით დაიწყო ადამიანის მიერ ბუნების შეიეცნების, ბუნებასთან ურთიერთობის წრის შეუჩერებელი გაფართოება: რამდენი ადამიანური გმირობა და მეცნიერულად სასწაულებრივ ზუსტი და ბრწყინვალე, ტექნიკურად ოსტატური ექსპერიმენტი შესრულდა ამ 15 წლის განმავლობაში. მათგან მხოლოდ რამდენიმე გავიხსენოთ: ხომალდიდან კოსმონავტის ღია კოსმოსში გასვლა; ჯგუფური, ხანგრძლივი ფრენა; ადამიანი მთვარეზე; ავტომატების მეშვეობით დედამიწაზე ჩამოტანილი მთვარის ქანის ნიმუშები; მთვარემავალები; ორბიტული ლაბორატორიები, საკვლევი აპარატების რბილი დაშვება ვენერასა და მარსზე; ორი სახელმწიფოს ერთობლივი რთული ექსპერიმენტი „სოიუზ-აპოლონ" და სხვ.

სიგულისხმოა, რომ ამ ექსპერიმენტების მსვლელობაში კოსმონავტიკას სულ უფრო მეტი წვლილი შემოაქვს ჩვენს მიწიერ, პრაქტიკულ საქმეებში, გამოყენებითს ამოცანებში. იგი უზრუნველყოფს გაცილებით უფრო მეტი სიზუსტით, ეფექტიანობითა და სისწრაფით კარტოგრაფიულ და გეოდეზიურ კვლევას, მეტეოროლოგიური ინფორმაციის შეკრებას, ციკლონებისა და ქარიშხლების პატრულირებას; აადვილებს წიაღში სასარგებლო ნამარხთა კერების მიგნებას, შორეულ ეფექტიან კავშირგამვლობასა და ტელეხედვას; ემსახურება სოფლის მეურნეობის ამოცანებს: სავარგულების ინვენტარიზაციას, ნათესების მდგომარეობისა, მდინარეების რეჟიმის, ძნელად მისაღწევი მაღალმთიანი რაიონების, სამოვრების, თოვლის საბურველისა და ყინულსაფარის მდგომარეობის რეგისტრაციას და სხვ. თუ ორბიტული აპარატი ახუ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი სათანადოდ დიდ სიმაღლეზეა აშვებული, მას შეუძლია ერთ დღეღამეში გადაიღოს ფოტოფირზე მთელი დედამიწის ზედაპირის ამ დღის სურათი. ამას ვერ შეასრულებს ერთდროულად ათასეულობით ჩვეულებრივი თვითმფრინავი, მაგი დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივაც რომ იფრინონ.

არათუ ერთობ ძვირფასი, ფასდაუდებელი, არამედ უმეტეს შემთხვევაში უნიკალური ინფორმაციის ძიებემა კოსმონავტიკური მეთოდებს გამოუყენება. კოსმონავტიკის განვითარებასთან დაკავშირებით კაცობრიობის ცოდნის სალაროს ყოველწლიურად ეძატება ათასობით ახალი ტექნოლოგიური მეთოდი, ახალი თვისებებისა და გამძლეობის მასალა, სხვადასხვა დანიშნულების, მათ შორის სამედიცინო საჭიროების, ახალი ბარაო-ხელსაწყოები, და ყველაფერი ეს ინერგება არა მარტო თვით კოსმონავტიკურ ტექნიკაში, არამედ, თანმიმდევრულად და სიგიოროებისამებრ, დედამიწიერ მატერიალურ-საწარმოო სფეროშიც.

კოსმონავტიკის საშუალებათა მეშვეობით მოპოვებული სამეცნიერო ინფორმაცია, კოსმონავტიკის პრაქტიკაში მიღწეული ტექნიკური სიახლენი ახლა პოულობენ და შემდგომში უფრო ფართოდ პპოვებენ თავიანთ ადგილს საზოგადოებრივ წარმოებაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ჯანმრთელობის დაცვასა და, საერთოდ, ჩვენს ყოველდღიურობაში.

კოსმოსის ათვისების პროცესი მოეკვლინა კაცობრობას, როგორც მომდევნო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა სინთეზი, რომელიც ხელს უწყობს და აჩქარებს სხვა მიმართულებათა განვითარებასაც. ამ პროცესს უდიდესი მსოფლმხედველობითი მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც ადამიანის დამოკიდებულებას ბუნებასთან იგი ახალი შინაარსის ელემენტებით ამდიდრებს, რომელთა შორის არის წარმოების ორგანიზაცია კოსმოსურ სივრცეში, ადამიანის შეგუება გარეატმოსფერულ პირობებთან, საზოგადოების ზღვარდაუდებელი განვითარება და სხვ. კოსმოსი, ჩვენი ჯარემოძეული სამყარო ყოველთვის იპყრობდა თავისკენ ადამიანის ყურადღებას და მისი შემეცნება „დედამიწიერი პოზიციებიდან" გაკვლევასაც ახდენდა კაცობრიობის განვითარებაზე და მის მიწიერ მოღვაწეობაზე.

ახლა კი დადგა დრო, როცა ადამიანი შეუდგა ბუნების გარდამქმნელ აქტიურ მოღვაწეობის პლანეტა დედამიწის გარეთ. ეს კი მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების განვითარების ახალი შარაგზაა. ამდენად ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები ოფიციალურად კოსმოსური სივრცის მეცნიერული შესწავლისა და ტექნიკური ათვისების სისრულისაკენ მიმართულ კვლევასა და მუშაობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შემდეგ „საბჭოთა ჯარის საბალო მეურნეობა" განვითარდა 1976-1980 წლების ძირითადი მოთხოვნილებანი". ეს ნიშნავს: „განვაგრძოთ კოსმოსური სივრცის შესწავლა და ათვისება, გავაფართოოთ დედამიწის ბუნებრივი რესურსების შესწავლისათვის, მეტეოროლოგიის, ოკეანოლოგიის, ნავიგაციის, კოსმოგამოკვლევისა და სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებებისათვის კოსმოსურ საშუალებათა გამოყენების კვლევა".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ამბ. ლ. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება უპირველეს ამოცანად რჩება.

„ჩვენ, კომუნისტები, — თქვა ამასთანავე, — ვხელმძღვანელობთ იმით, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მხოლოდ სოციალიზმის პირობებში იძენს სწორ მიმართულებას, რომელიც შეესაბამება ადამიანისა და საზოგადოების ინტერესებს". ამ მტკიცებას უპასუხებს საბჭოთა კავშირში მიმდინარე კოსმოსის შესწავლის როგორც შორეული მიზნები, ისე დღევანდელი პრაქტიკაც.

მაგრამ აუცილებელია კიდევ უფრო მეტად მიზანსწრაფული მუშაობა ამ მიმართულებით. როგორც პარტიის XXV ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა: „ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მეცნიერების მიღწევებმა ხორცი შეისხას არა მარტო ცალკეულ — თუნდაც უბრწყინვალეს — ექსპერიმენტებსა და საგამოფენო ნიმუშებში, არამედ აგრეთვე ათასობით ახალი საბრძოლო პროდუქციაში, იქნება უნიკალური მანქანები, თუ ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია ადამიანის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან". ეჭვს გარეშეა, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა უახლოესი მომავლის მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დარგთაგანი იქნება, რომლის განვითარება მრავალ ახალ სასარგებლო იდეას დაბადებს და ყოველდღიურობისათვის საჭირო ნაყოფს მოგვაწვდის.

მეცნიერებისადმი დიდი ნდობა გამოხატულია ყრილობისადმი წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში, სადაც ნათქვამია: „რეგოლუცია მეცნიერებასა და ტექნიკაში მოითხოვს სამეურნეო საქმიანობის სტილისა და მეთოდების კარდინალურ შეცვლას, გადამწყვეტ ბრძოლას უძრაობისა და რუტინიორობის წინააღმდეგ. მეცნიერების ნამდვილ პატივისცემას, უნარსა და სურვილს რჩევა სთხოვო და ახგარიში გაუწიო მას".

ეს გვავალებს ჩვენ — მეცნიერების ასპარეზზე მომუშავე კოლექტივებს — ყოველნაირად შევეცადოთ გავზარდოთ ჩვენი წვლილი მეცნიერულ კვლევაში, რათა მეტი შეგმატოთ საქართველოს და მთელი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XIV ყრილობამ კონკრეტულად მიგვითითა ამ ნაკლოვანებებზე, რომელნიც ჯერ კიდევ ერთგვარად ამუხრუჭებენ ჩვენს წინსვლას. ეს არის, ზოგ შემთხვევაში, აქტუალურ პრობლემებზე მუშაობისათვის ძალების კონცენტრაციის ნაკლებობა, კვლევის შედეგების ცხოვრებაში, წარმოებაში დანერგვის ხშირი დაგვიანება, შრომების რეცენზირების სისუსტე, აქა-იქ პირფთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის კეთილმყოფელობის უარყოფა და აქედან გამომდინარე არაკანონიერი, არაკოლეგიური დამოკიდებულებანი და სხვ. ამ ნაკლოვანებათა რაც შეიძლება მოკლე დროში დაძლევა, შრომის ორგანიზაციის სრულყოფაზე გამუდმებული ზრუნვა პირველი ბირთვია ამისათვის, რომ მეტი ნაყოფი მოჰკრიფონ ჩვენს კვლევითს მუშაობას.

რესპუბლიკის სამეცნიერო კოლექტივების შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია კორდინაციის სისრულე მუშაობაში და მტკიცე კავშირი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, მის სამეცნიერო დაწესებულებებთან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამხანაგმა ლ. ა. ბრეჟნევმა სრულიად სამართლიანად უწოდა „ჩვენი ქვეყნის თეორიული კვლევის ცენტრი, მთელი სამეცნიერო მუშაობის კორდინატორი". საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის 250 წლის იუბილეასთან დაკავშირებით ჩვენმა საზოგადოებრიობამ კიდევ ერთხელ მიმოიხილა ის დიდი ღვაწლი, რომელიც დასდო საკავშირო აკადემიამ, მისმა ინსტიტუტებმა რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების განვითარების საქმეს. განუზომელია მისი როლი ქართული მეცნიერების განვითარებაშიც. მოწინავე ქართველი მეცნიერები, მეცნიერებათ გატაცებული ახალგაზრდობა წინათაც და ახლაც ხარბად ეწაფებოდა და ეწაფება რუსეთის, საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებიდან მომდინარე მეცნიერული იდეებისა და ცოდნის უხვ ნაკადს. ეს ყოველთვის ამდიდრებდა და მომავალშიც გაამდიდრებს ქართულ მეცნიერებას და ხელს შეუწყობს მას — მეტი წვლილი შეიტანოს საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

Ე. ᲮᲐᲠᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲘᲩᲛᲐᲚᲐᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ მოსკოვში დამთავრდა მეექვსე „გაგარინის ცხოვრებისა და საქმიანობისადმი მიძღვნილი კითხვა", რომელიც მოეწყო ავიაციისა და კოსმონავტიკის მსოფლიო დღისა და კოსმოსში ადამიანის პირველი გაფრენის მე-15 წლისთავის გამო. კითხვა მოეწყო შ. ვ. ფრუნზეს სახელობის ავიაციისა და კოსმონავტიკის ცენტრალურ სახლში, ვარსკვლავთა ქალაქსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სწავლულთა სახლში.

სექციურ და პლენარულ სხდომებზე კოსმოსური სივრცის შესწავლისა და ათვისების პრობლემებისადმი მიძღვნილი 150-ზე მეტი მოხსენება და ინფორმაცია მოისმინეს. (საკდესის კორ.).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲚᲝᲒᲘᲡᲐ

ᲝᲠᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ, 9 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს აქ გაგარინის პროსპექტზე № 1 სახლის კედელზე გაკრეს მემორიალური დფა პირველი კოსმონავტის პატივსაცემად. ამის გამო გაიმართა საზეიმო მიტინგი.

კომკავშირის საოლქო კომიტეტმა დააარსა ი. ა. გაგარინის სახელობის ორი ყოველწლიური პრემია, რომლებსაც საუნივერსიტეტო ჟურნალებს დაუნიშნავენ.

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕ



დიდება შრომას

ამერიკაკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნა ამერიკაკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მოეწყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კულტურის სამინისტროებისა და სამივე რესპუბლიკის მხატვართა კავშირების ინიციატივით. გამოფენა ეძღვნება სკკპ XXV ყრილობას.

გალერეის ვრცელი დარბაზები დაეთმო სამი რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების წარმომადგენელთა შემოქმედებას. დიდება შრომას, ასე შეიძლება ვუწოდოთ აქ ექსპონირებულ ნამუშევრებს, რომლებშიც წარმოსახულია ჩვენი მშვიფარე ცხოვრება, მეცხრე ხუთწლედის შემოქმედთა მძლავრი რიტმი, საბჭოთა ადამიანების სულიერი სილამაზე.

ათვალიერებთ გამოფენას და კედლებიდან შემოგყურებენ ისინი, ვინც თაკარა მზეში საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობს, ფოლადის გამოსადნობ გავარვარებულ ღუმელებთან დგას, ცაცაბო კლდეებზე სიცოცხლის გზა გაპყავს, ამენებს საცხოვრებელ სახლებს და კულტურის სასახლეებს. თვალს ხიბლავს ფერთა გამით ამეტყველებული თუ თბილი ნაძერწი ჩვენი გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები, შრომის გმირთა სახეები, სამშობლო ქვეყნის ულამაზესი პეიზაჟები.

გამოფენის გახსნის წინ ვესაუბრეთ საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ ნ. ჯანბერიძეს. აი რა გვითხრა მან:

— ეს ტრადიციული გამოფენა გახლავთ. ჩვენი საზოგადოებრიობა მრავალჯერ გასცნობია მოძმე რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედებას. შარშან აქ წარმოდგენილი იყო ხარ კავშირის სახალხო მხატვრის, ხომხეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ერვანდ კოჩარის ნამუშევრები. სულ ცოტა ხნის წინათ მოეწყო ამერიკაკავკასიის მხატვარ ქალთა ნამუშევრების ექსპოზიცია. დღევანდელი გამოფენა მეტად მნიშვნელოვანია, მასში მონაწილეობენ სამივე რესპუბლიკის ცნობილი ოსტატები, რომლებიც დამსახურებული აღიარებით სარგებლობენ. ექსპოზიციაში თითქმის ყველა თაობის ნამუშევრებს ნახავთ. თვითეული მათგანის შესაქმნელად მხატვრები იყვნენ მინდვრებსა თუ საწარმოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში თუ ხელოვანთა გვერდით.

გამოფენა პირველად ერევანში იყო ექსპონირებული, და იქ მას დიდი წარმატება ხვდა. თბილისდან იგი ბაქოში გადაინაცვლებს.

აღსანიშნავია, რომ ეს ექსპოზიცია ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშია იმისა, თუ რა მონაწილეობას იღებენ სახვითი ხელოვნების მუშაკები იმ გიგანტურ შრომაში, რომელსაც ჩვენი ხალხი ეწევა სოციალისტური სამშობლოს აყვავებისა, მშვიდობისა და პროგრესისათვის.

ასეთი მეგობრული გამოფენები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას, რასაც ასე დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ

გამოფენის დღეებში გაიმართება მეგობრობის საღამო, მოწვეული იქნებიან სამივე რესპუბლიკის მხატვრები. ისინი ერთმანეთს გაიცნობენ თავიანთ შემოქმედებითს გეგმებს.

მეგობარ ხელოვანთა გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს.

ლ. ხუბულური.





გთავაზობთ გამოფენის ექსპონატებს (მარცხნივ, ზემოთ): შ. ერტეგიანის (ერევანი) — „კომბინერები“; მ. აბდულაევის (ბაქო) — „ბრინჯის მოსავლიანი ძალები“; (მარჯვნივ) დ. ნოდიას (თბილისი) — „ენგურჰესის მშენებლები შესვენებისას“; გ. თოიძის (თბილისი) — „ხევსურეთი“.

გ. აბზიანიძე

ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 1941 წლიდან სკკპ წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალთა კავშირის წევრი, პროფესორი გიორგი ნიკოლოზის-ძე აბზიანიძე.

გიორგი აბზიანიძე ქართველ მეცნიერთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც ამ ხუთი ათეული წლის წინათ დადგა ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და ლიტერატურის, ახალი სოციალისტური კულტურის აკვანთან. იგი, თითქმის ნახევარი საუკუნე უანგაროდ და თავდადებით ემსახურებოდა ქართველი ერის კულტურის წინსვლას და ახალგაზრდა სამეცნიერო თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

გ. აბზიანიძე 1907 წლის 23 მაისს დაიბადა ქ. ქუთაისში. 1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დამთავრა და აქვე განაგრძო ასპირანტურაში სწავლა ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. ამ პერიოდიდან დაიწყო გ. აბზიანიძის ფართო მეცნიერული მოღვაწეობა.

პროფ. გ. აბზიანიძემ დიდი შრომა გასწია ვასული საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლისა და სისტემატიზაციის საქმეში. იგი ავტორია საინტერესო და საფუძვლიანი შრომებისა. ეს ნაშრომებია: „ქართველი კლასიკოსები“, „ნარკვევები XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“ და სხვ. მასვე ეკუთვნის მონოგრაფიები ს. დოდაშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ი. მაჩაბლის, ს. მესხისა და სხვა გამოჩენილ მწერალთა და მოაზროვნეთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ქართულ და რუსულ სამეცნიერო ორგანოებში თანამშრომლობასთან ერთად გ. აბზიანიძე 1934 წლიდან აქტიურად თანამშრომლობდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის, ლიტერატურული ენციკლოპედიისა და უკრაინული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციებთან. ამ გამოცემებში მისი ბევრი წერილი გამოქვეყნდა.

ჩინებული მეცნიერის, კეთილშობილი ადამიანის, პროფესორ გ. აბზიანიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების, კოლეგების, მისი აღზრდილების გულში.

საქართველოს სსრ მეცნიერთა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ჰოკეი

დიდი ანგარიშით

კატოვიცეში მიმდინარე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა ჰოკეისტებმა მეორე მატჩი ჩაატარეს, ამჯერად — გდრ-ის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0 (1:0 ,1:0, 2:0).

ამავე დღეს ჩეხოსლოვაკიელებმა დიდი ანგარიშით 12:0 (2:0, 2:0, 8:0) მოუგეს პოლონელებს.

დღეს საბჭოთა ნაკრები ხვდება ფინეთის გუნდს, ხოლო ჩეხოსლოვაკიისა — შვეიცარიას. ამ მატჩების ტელერეპორტაჟები დაიწყება: პირველისა — 20 საათზე, მეორისა — 23 საათსა და 30 წუთზე (თბილისის დროით).

ფლიტ საუკეთესო

ცნობილია, რომ ადამიანთა მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის ბევრი პრემია და საპატიო წოდება არსებობს. განსაკუთრებით პოპულარულია მსოფლიოში საუკეთესო სპორტსმენთა ყოველწლიური „არჩევნები“. კინოს ქალაქ ჰოლივუდში დაარსებულმა პრემიამ „ოსკარმა“ ქადაგაშიც ჰპოვა თავისებური გამოხმაურება — ამჟამად ამ ტიტულს მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი ფლობს. საქართველოში რჩეულ სპორტსმენთა შორის ყოველწლიურად თვალსაჩინო ადგილს იკავებს ნონა გაფრინდაშვილი.

კომპოზიციაში დაასლოებით ასეთი სახის კონკურსი — რეფერენდუმი ინგლისელებმა 25 წლის წინათ შემოიღეს. ჯილდო — „პარლის პრიზი“ რეგულარულად ენიჭება წელიწადის განმავლობაში გამოქვეყნებულ იმ საუკეთესო კომპოზიციას, რომელიც ე. წ. ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნის წარმომადგენელს უნდა ეკუთვნოდეს. საჭადრაკო პოეზიის პოპულარიზაციის და კომპოზიტორთა წახალისების ეს საინტერესო ფორმა ურიგო არ იქნება ჩვენშიც შემოვიღოთ; თუნდაც საეტიუდო ხელოვნებაში, რომლის დონე საქართველოში საკმაოდ მაღალია.

მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ „პარლის პრიზით“ პირველად დაჯილდოებულ ნაწარმოებს. ამ ორსვლიანი ამოცანის ავტორია გამოჩენილი ინგლისელი პრობლემისტი, კომპოზიციის დიდოსტატი კომინს მენსფილდი, რომელსაც „ორსვლიანი ამოცანის გენიოსს“ უწოდებენ.

ჯ. მენსფილდი, 1950



შამათი 2 სვლაში.

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო.

ვ. ნეიძე.

გუშინ სტადიონებზე

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ექვსი მატჩი გაიმართა გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. მოგვაყავს მათი შედეგები:

„ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ — 1:0

„არარატი“ — ცსკა — 0:0.

„ზარია“ — „დინამო“ მ. — 0:0

„ბარაკატი“ — „კრ. სოვეტოვი“ — 2:0

„შახტიორი“ — „ზენიტი“ — 1:0

„დნეპრი“ — „დინამო“ მნ. — 2:0

მეორე ტურის უკანასკნელი მატჩი კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ შორის დღეს გაიმართება.

ტენნისარჯიში

ნორჩების წარმატება

ტაშკენტში გაიმართა განათლების სამინისტროს სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში.

წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ტანმოვარჯიშეები. გოგონებმა მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო ვაჟებმა — მეორე. საერთო ჩათვლაში ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს, უზბეკ ტანმოვარჯიშეთა შემდეგ, მესამე ადგილზეა უაზახეთის გუნდი.

პირად პირველობაში, თბილელი ჯონდო ალთუნაშვილი სპორტის ოსტატობის პროგრამით მონაწილე ჭაბუკებში მეორე ადგილზე გამოვიდა, ხოლო ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრებისას გაიმარჯვა რგოლებსა და ღერძზე. გოგონებს შორის თავისუფალ ვარჯიშში უძლიერესი იყო ანა ბიჭიკაშვილი, რომელმაც სპეციალური პრიზი მოიპოვა საუკეთესო კომპოზიციისათვის.

ჯ. კვანტალიანი,
სპორტის ოსტატი.

გამარჯვების გოლი

„დინამო“ თბ. — „სპარტაკი“ მ. — 1:0 (1:0).

10 აპრილი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, მსაჯი ი. ხერგიენკო (ხარკოვი).

„დინამო“ — გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი (ჩელებაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

„სპარტაკი“ — ვლადიუშჩენკოვი, ვლ. ბუკიეესკი, აბრამოვი, ვიქ. ბუკიეესკი, ხოლმახინი, ზანაზანიანი, რედინი, პილიპკო, გლადილინი (მურაშკინცევი), პაპაეი, სმირნოვი.

თუმცა მოსკოველთა რიგებში ამ დღეს არ თამაშობდნენ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელები ლოგჩევი და ოსიანინი, თბილისის დინამოელები „სპარტაკთან“ იოლ მატჩს მაინც არ ელოდნენ. ჩვენი გუშინდელი მეტოქე ხომ ქვეყნის ერთ-ერთი ტექნიკური გუნდია.

მატჩი სპორტულად და სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. თუ წინა შეხვედრაში სეზონის გახსნისას თბილისელები შეცდომებს უშვებდნენ, ამჯერად ჩვენმა გუნდმა, მისმა ყველა რგოლმა გაცილებით დამაჯერებლად და მიზანსწრაფულად ჩაატარა მთელი 90 წუთი.

უკვე მეორე წუთზე „მოსინჯა“ მეტოქის კარი ქორიძემ, რომლის შორიდან დარტყმული ბურთი აიღო სპარტაკელთა მეკარემ. მე-16 წუთზე ქორიძის დარტყმა ვლადიუშჩენკოვმა კუთხურზე მოიგერია. დარასელიამ ჩამოაწოდა ბურთი, იგი საჯარიმოში დატრიალდა, ისევ ქორიძემ მიუსწრო და გახსნა ანგარიში. შესვენებამდე მეტოქეებმა კიდევ ორ-ორჯერ სახიფათოდ დაარტყეს კარში.

მეორე ტაიმში სპარტაკელებმა გაათანაბრეს თამაში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გლადილინი და რედინი, რომელთა დარტყმები ოსტატურად აიღო მეკარე გოგიამ. თავის მხრივ სახიფათო იყო გუცაევის, ყიფიანის, დარასელიას და ჩელებაძის გასვლები, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე (მას კარგად სჯიდა ი. სერგიენკო) ანგარიში არ შეცვლილა.

ო. ნოზაძე.

მოკლედ

ქალწლნბა. ბერლინში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში 29 წლის საბჭოთა ძალოსანი, შახტელი დავით რიგერტი ქვემძიმე წონით კატეგორიაში პრაქტიკულად კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა და მსოფლიოს ასალი რეკორდიი — 397,5 კგ ოქროს მედალი მოიპოვა.

ველოსპორტი. გუშინ თბილისს ველოტრეკზე გაიმართა გუნდური რბოლა 4 კილომეტრზე. გაიმარჯვა შეიარაღებული ძალების მეორე გუნდმა — 4.38,64. სპორტერული რბოლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ა. იაბლუნოვსკი (შეიარაღებული ძალები) და ს. კრავცოვი („დინამო“). ორივე სერია მოიგო ა. იაბლუნოვსკიმ.

ცხენნსნობა. თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე მიმდინარეობს სეზონის პირველი შეჯიბრება — ხაჭართველოს ამსოლუტური პირველობა დაბრკოლებათა გადალასვაში. გახსნის პრიზი მოიპოვა გუდაუთელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ხ. სიმონიამ, ე. წ. სიმძლავრის ხტომებში უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი ზ. ფურწუმია (ზუგდიდი), ხოლო ამორრეკვით ხტომებში — თბილისელი სპორტის ოსტატი ნ. ლაბაშია.

ფარიკაობა. მინსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე დამშინ ბრძოლაში ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა სტუდენტმა ბორის ლუკომსკიმ, რომელმაც ფინალში მოუგო კიეველ ალექსანდრე ბიკოვს. მესამე ადგილზეა მოსკოველი მიხეილ გორლოვი.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

11 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — კინონარკვევი „შეხვედრა ჯოკონდასთან“, 12.00 — ლენინური პრემიის მოსაპოვებლად სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.20 — „დღეს საპაერო თავდაცვის ჯარების დღეა“ — სტუდიაში საბჭოთა კავშირის მარშალი ბატიცკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.35 — კინონარკვევი „ბერლინის ზოოპარკი“, 13.00 — „კინოფიშა“, 13.30 — „ჯადოსნური ეკრანი“, 13.50 — „საჭადრაკო სკოლა“, 14.10 — დოკუმენტური ფილმი „ადამიანი შემოქმედებისათვის იბადება“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — დოკუმენტური ფილმი, 15.20 — „კინოს მოყვარულთათვის“ ,17.00 — „საერთაშორისო პანორამა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.50 — სპორტის პრობლემები, 18.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატები“, 20.00 — კინოპროგრამა, 20.30 — საესტრადო კონცერტი, 21.00 — „მომმბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — დოკუმენტური ფილმი, 21.45 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდები (მე-3 პერიოდი). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან), 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — საბჭოთა სიმღერების კონცერტი ჩეხოსლოვაკიელი მსახიობების შესრულებით — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცის ნაკრები გუნდები. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან).

12 აპრილი

პირველი პროგრამით

06.35 — ა. ბალანჩივაძე — საორკესტრო პიესები, 06.50 — „სოფლის დილა“, 08.00 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.10 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ი. ნონეშვილის ლექსი „კოსმოსის გმირებს“, 12.45 — პოპულარული ქართული სიმღერები და რომანსები, 13.15 —ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — სიმღერები საბჭოთა მფრინავებზე, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — ს. პროკოფიევი — „კლასიკური სიმფონია“, 20.20 — „თეატრი მიკროფონთან — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „დასაწყისი“, 22.05 — მსუბუქი მუსიკა, 23.30 — მღერის ზ. ანჯაფარიძე.



11 აპრილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კოტელია (მე-9 აბონ. მე-5 წარმოდგენა, დილით), **დიდი კონცერტი** (მე-20 აბონ. მე-5 წარმოდგენა, საღამოს); **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რომეო და ჯულიეტა** (დილით), **ნათან ბრძენი** (საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მარტოობის დღესასწაული (ფიროსმანი)** (დილით), **კვამი კვამანტირაძე** (საღამოს); **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯარში მიდის დედისერთა** (დილით), **ჩემი მუშვენიერი ლედი** (საღამოს); **საქართველოს მინიატურების სახელმწიფო — ნაკრები** (დილით), **ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში** (საღამოს).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერებისა, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲙᲝᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲚᲘ 66443 ᲔᲡ 05700

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380003 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

მმართველი: ხომ იცი, ასეთი ზეიმის გადახდის შემდეგ იუბილარები ძალიან ცოტას ცოცხლობენ. შარშან არ იყო, პავლეს იუბილე რომ გავმართეთ? ერთი თვის თავზე წაიღო წერილი საიქიოს. საწყალი პავლე, რამდენს ნერვიულობდა, სანამ მისი იუბილე მოთავდებოდა, ბოდ რად გინდა მერე ეს იუბილე!

ᲘᲚᲘᲜᲝᲕᲐᲜᲘ: ყველა იხდიხ.

... შედგა სილოვან ფუტკარაძის საიუბილეო საღამოს მომწყობი კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თვით პროფკომი. რომ გითხრათ, კომისიამ მჩქეფარე საქმიანობა გააჩაღა-მეთქი, ტყუილი იქნება. გეგმა კი შეადგინეს, მაგრამ იგი თვით იუბილარს მიაჩეჩეს ხელში და უთხრეს, აბა ახლა, შენ იცი.

სწორედ ამ დღიდან გახდა სილოვან ფუტკარაძის უშფოთველი ცხოვრება შფოთიანი. ჯერ იყო და იუბილეს გამართვის ნებართვის აღებას არ დაადგა საშველი. სად არ იარა, ვინ არ შეაწუხა, მაგრამ ხელმძღვანელი ამხანაგები სილოვანის იუბილეს რატომღაც გულთან არ იკარებდნენ. ერთ დღეს ერთ-ერთი ზემდგომი დაწესებულებიდან უარით რომ გამოისტუმრეს, „ყველაზე უფროსთან“ მივიდა.

იუბილეს გაგონებაზე „მთლად უფროსი“ გადაირია, რა დროს იუბილეა, ბეგმის შესრულებაში ჩავარდნა გვაქვსო.

სილოვანმა იფიქრა, ამ კაცისგან სახეიროს ვერაფერს მივიღებო და მისდაუნებურად ამ „მთლად უფროსის“ „მთლად უფროსი“ კალისტრატოვიჩი გაახსენდა, რომელსაც ისე, უბრალოდ იცნობდა.

— კალისტრატოვიჩს არ დაურეკავს?

კალისტრატოვიჩის გაგონებაზე „მთლად უფროსი“ საკარძლიდან წამოიჭრა და...

მმართველი: ეს ერთი ამბავია, ასეთი ზეიმის გადახდის შემდეგ იუბილარები ძალიან ცოტას ცოცხლობენ. შარშან არ იყო, პავლეს იუბილე რომ გავმართეთ? ერთი თვის თავზე წაიღო წერილი საიქიოს. საწყალი პავლე, რამდენს ნერვიულობდა, სანამ მისი იუბილე მოთავდებოდა, ბოდ რად გინდა მერე ეს იუბილე!

სილოვანი: ეს ერთი ამბავია, ასეთი ზეიმის გადახდის შემდეგ იუბილარები ძალიან ცოტას ცოცხლობენ. შარშან არ იყო, პავლეს იუბილე რომ გავმართეთ? ერთი თვის თავზე წაიღო წერილი საიქიოს. საწყალი პავლე, რამდენს ნერვიულობდა, სანამ მისი იუბილე მოთავდებოდა, ბოდ რად გინდა მერე ეს იუბილე!

სილოვანი: ეს ერთი ამბავია, ასეთი ზეიმის გადახდის შემდეგ იუბილარები ძალიან ცოტას ცოცხლობენ. შარშან არ იყო, პავლეს იუბილე რომ გავმართეთ? ერთი თვის თავზე წაიღო წერილი საიქიოს. საწყალი პავლე, რამდენს ნერვიულობდა, სანამ მისი იუბილე მოთავდებოდა, ბოდ რად გინდა მერე ეს იუბილე!

ᲘᲚᲘᲜᲝᲕᲐᲜᲘ: ეს ერთი ამბავია, ასეთი ზეიმის გადახდის შემდეგ იუბილარები ძალიან ცოტას ცოცხლობენ. შარშან არ იყო, პავლეს იუბილე რომ გავმართეთ? ერთი თვის თავზე წაიღო წერილი საიქიოს. საწყალი პავლე, რამდენს ნერვიულობდა, სანამ მისი იუბილე მოთავდებოდა, ბოდ რად გინდა მერე ეს იუბილე!

ᲘᲚᲘᲜᲝᲕᲐᲜᲘ: ეს ერთი ამბავია, ასეთი ზეიმის გადახდის შემდეგ იუბილარები ძალიან ცოტას ცოცხლობენ. შარშან არ იყო, პავლეს იუბილე რომ გავმართეთ? ერთი თვის თავზე წაიღო წერილი საიქიოს. საწყალი პავლე, რამდენს ნერვიულობდა, სანამ მისი იუბილე მოთავდებოდა, ბოდ რად გინდა მერე ეს იუბილე!

ᲘᲚᲘᲜᲝᲕᲐᲜᲘ: ეს ერთი ამბავია, ასეთი ზეიმის გადახდის შემდეგ იუბილარები ძალიან ცოტას ცოცხლობენ. შარშან არ იყო, პავლეს იუბილე რომ გავმართეთ? ერთი თვის თავზე წაიღო წერილი საიქიოს. საწყალი პავლე, რამდენს ნერვიულობდა, სანამ მისი იუბილე მოთავდებოდა, ბოდ რად გინდა მერე ეს იუბილე!



ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

გუშინ დასავლეთ საქართველოში 13 საათზე ყველაზე მეტი სითბო, 22 გრადუსი საქართველოში აღინიშნა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 18-21, მთაში 14-16 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მაღალი ტემპერატურა, 22 გრადუსი თბილისსა და გარდაბანში აღინიშნა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 19-21, მთაში 12-15 გრადუსი სითბო იყო.

მამისონისა და ჯვრის უღელტეხილებზე თოვდა.

დღეს შავი ზღვისპირა რაიონებში ზოგან მცირე წვიმაა მოსალოდნელი, ბარში 18-22, მთაში 12-17 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მთიან რაიონებში — ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა — ბარში 19-24, მთაში 11-16 გრადუსი სითბო, თბილისში 22-24 გრადუსი ხითბო იქნება.